

572
1990

133N 0132-0065
საქართველოს
განმანათლებლო
სისტემის



წიგნი

1990 წ. მარტი № 3

არ ვიხი ვე ვეზი თვლა

ბაჰან სანინიძე

ერთი, ორი, სამი და...
შემოდგომა წავიდა.
ქართ, ეინვით, თოვლითა
ჰა, ზამთარიც მოვიდა.
ოთხი, ხუთი, ექვსი და...
ცოტა ვუვლას შეგვცივდა.
შვიდი, რვა-ა, ცხრა-ა,
წარბი გახსნა ცაძმ,
ხევში წყალი ასუვლდა,
უკვე გამოზაფხულდა,
მიწას მკერდი გაუთბა,
ხვნა და თესვა გახურდა.

მე მეტი თვლა არ ვიცი,
ბოდიშს ვინდი ზაფხულთან.



ცალფენა შაშვი



გიორგი ხეჩუაშვილი

იმ წელიწადს ზამთარი გაჭირვეულდა, აპრილი დადგა და თოვლი ჭერკიდევ უძრავად იწვა ველ-მინდვრებზე, ტყეში ხომ სულ თეთრად ქათქათებდა. ამ დროს უჭირს ცხოვრება ნადირ-ფრინველს. შიშხილისაგან რომ არ დაიხოცნონ, საშველად ტყისპირა სოფლებს მიაშურებენ ხოლმე — კურდღლები ეზო-ეზო დადიან და საზრდოს ეძებენ, ფრინველები მოურიდებლად დაფრინდებიან ხოლმე ეზოებში და შინაურ ქათმებთან ერთად შეექცვიან საკენკს... ღამლამობით დაძრწის მტაცებელი ნადირი და ყველაფერს მუსრს ავლებს, იტაცებს ცხვრებს, ხბორებს, ქათმებს, ღორებს; ტყეში დასუნსულეებენ მელიები, ტურები, და ადვილად იჭერენ სიცივისა და შიშხილისაგან დაბუხულ გარეულ ფრინველებს.

ტყის მახლობლად, სოფლის განაპირა სახლის ეზოში, როცა დათოს ბებია „ჭუ-ჭუ-ჭუჭუ“ ძახილით ქათმებს საკენკს უყრიდა, ფრინველები უვილ-ხივილით დაფრინდებოდნენ და ქერისა და ფეტვის მარცვლებს ხარბად კენკავდნენ, გაბრაზებული ქათმები ნისკარტებით ერეკებოდნენ მათ, მაგრამ დაშშეული ფრინველები არ ეპუებოდნენ.

პატარა დათოს ერთი შაშვი ჰყავდა შეჩვეული, პურის ყუას ფშვნიდა და საჩხეში უყრიდა. შაშვი გაიტაცებდა ხოლმე ნამცეცებს და სადღაც მიაქროლებდა, მერე ისევ მალე ბრუნდებოდა. ასე ხშირად მოფრინავდა. პაპამ განუმარტა შვილიშვილს:

— ხევის პირას, მაცვლის ბუჩქებში, ბუდე ექნება, შვილო. ალბათ ბარტყები დაჩეკა და შვილებთან ნამცეცები მიაქვს. სანამ იმათ არ დააძლობს, თვითონ არ შექამს. დათოს უფრო შეუყვარდა შვილებ-

ზე მზრუნველი შაშვი. ისე დამეგობრდნენ, რომ შაშვი ბიჭს მხარზე დააფრინდებოდა ხოლმე, ყოველ დილით ეძახდა დათოს — ფანჭარას ფრთებს უტყალაშუნებდა, ჭახჭახებდა; როგორც კი დათო საჩხეში გამოვიდოდა, მხარზე დააფრინდებოდა და, თითქოს რაღაცას ებაახებო, გალობდა.

— მადლობას გიხდის სიკეთისათვის, — ეტყოდა ხოლმე პაპა.

ერთ დილას დედა შაშვს შვილებთან ერთად ეძინა. ბინდბუნდში ფაჩიფუჩი მოესმა. შეშინებულმა გამოიხედა და ათრთოლდა. დაინახა, რომ მელია მოძვრებოდა; მაცვლის ეკლიდან ტოტებში ვერ გაეხედა შესვლა და იქვე გასუსულიყო — იქნებ დედა შაშვმა ვერ შემამჩნიოს, გულშშვიდად გადმოფრინდება და გემრიელად ჩავახარამუნებო; ან იქნებ ბარტყები გადმოუცვივდნენ...

შეშინებული შაშვი სწრაფად ამოფრინდა ბუდიდან და მელიას წინ დაუჭდა, მელიამ მისკენ ისკუპა, მაგრამ შაშვი აფრინდა და ისევ შორიახლოს დაუფრინდა,



მედიკალიზაცია
საქ. სსრ კ. მარქსის
ს-ბ. სან. ო. სტუბ.
... ..

მელია გამოეკიდა; ისევ აფრინდა შაშვი, და ასე დიდხანს სდია მელიამ. იქამდის სდია, სანამ დაიქანცებოდა, და მერე, იმედგაცრუებულმა, თავი მიანება... რაკი წყეული მელა გაიტყუა და ბუდეს მოაცილა, დედა შაშვი დამშვიდებული დაბრუნდა შვილებთან.

ერთ ღამეს დედა შაშვს ღრენა მოესმა, უმალ ამოფრინდა ბუდიდან და კბილებდაკრეკილ მგელს წინ დაუფრინდა. ახლა ის გაიტყუა ბარდებიდან. ეკლები-საგან დაკაწრულ გამწარებულ მგელს კბილები უკაწკაწებდა, მაგრამ ვერა და ვერ დაიჭირა შაშვი, დაიღალა, დაიქანცა და თავი მიანება.

ერთ დღეს, როცა შაშვის ბარტყები მზეზე იყვნენ ჩათბუნებული, დედა შაშვმა რაღაც სიგრილე იგრძნო, თითქოს ნიაჰმა წამოუბერაო... ეს მიმინო იყო... შურდულივით მოფრინავდა ბუდისაკენ, მაგრამ მაყვლის ეკლიანმა ბრტყებმა გზა გადაუღობეს — ბუდეს რომ დააფრინდა, გულისპირზე ნემსებივით შეერქო ეკლები...

ასეა ყოველდღე, ათასი განსაცდელი უღარაჩებს შაშვის ბარტყებს და დედა შაშვი, შვილები რომ სიკვდილს გადაარჩინოს, ცდილობს, შორს გაიტყუოს მტაცებელი.

— ვაი თუ დედა შაშვს სტაცონ პირი იმ წყეულებმა?! — აღელვებით უთხრა ბიჭმა პაპას.

— ზოგჯერ ეგეც ხდება, შვილო... იტაცებენ იმ საბრალოს...

... ერთ სისხამ დილით დათო თოფის ხმამ გამოადვიდა, შეშინებული წამოვარდა ლოგინიდან და კიშკართან მიიბრინა. თოვლით დაფარულ მინდორზე, რომე-

ლიც მაყვლის ბარდებთან მთავრდებოდა, ფრინველის ცალ ნაფხურს მოკრა თვალ-ღრუბრები და დაეშინა. პაპას დაუძახა და ნაკვალევს გაჩვენა. უეცრად შაშვის თავგანწირული ქახჭახი და ბარტყების უიფვივი მოესმათ. საბრალო დედა შაშვი ფეხს მიათრევდა, ფრთებს თოვლზე ურტყამდა და შვილებისაკენ ტანჯვა-წვალებით მიფოფხავდა. ბუდეს მელია ეპარებოდა, პაპამ დასჭყეულა და დააფრთხო, მერე დათომ და პაპამისმა შაშვი და მისი ბარტყები შინ წამოიყვანეს, ბუდე აუშენეს, დედა შაშვს ფეხი მაგრად შეუხვიეს, შვილებთან ერთად ბუდეში ჩასვეს, პურის ნამცეცები ჩაუყარეს და წყალი ჩაუდგეს.

— ამ წყეულმა ბერომ ფრინველებს მუსრი გაავლო, საფანტო ტენის გილზეებს და ერთი გასროლით რამდენიმე ფრინველს სპობს. კიდეც კარგი, შენი შაშვი გადარჩა, — უთხრა პაპამ დათოს.

... როცა გაზაფხულის თბილმა სხივებმა თოვლი ჩაადნო, ტყე შეიფოთლა და მაყვლის ბარდებიც მწვანედ შეიმოსა, დედა შაშვი თავის შვილებით ბუდიდან გაუშვეს.

პირველკლასელებს მასწავლებელმა მგლის დახატვა დაავალა.

— ყოჩაღ, დათო, ყოჩაღ!.. — თავზე ხელი გადაუსვა მასწავლებელმა დათოს და ბავშვებს მიუბრუნდა: — აბა, შეხედეთ, დათომ როგორი მგელი დახატაო.

ბავშვებმა იცნეს ბერო — გაბურძენული უღვაშებით და მგელივით ბრიალა თვალებით. სოფელში მას „მგელკაცს“ ეძახდნენ, რადგან ნადირ-ფრინველის დაუძინებელი მტერი იყო. სწორედ ამ მგელკაცამ ესროლა თოფი დათოს შაშვს და ფეხი მოსტეხა.



ბიჭო, არკი ჩამოვარდა!

ტარიელ ჭანტურია

რა თქმა უნდა,
საჭიროა
განახლებული
ამ ხის გასწვლილი!
მაგრამ ამ ხეს
როგორ გასწვლია,
თუ არ იცი
ხეზე გასვლა!


ეს ბიჭი კი —
ნუკოდენა —
კარგად თუ არ
დააკვირდი,
ციცქნა ტოტზე
ისე გავა,
ვეკონება
ატმის კვირტი!
თითქოს ხეზე
გასვლისათვის
იუოს, მართლაც,
განჩინილი!




იმ დღეს მსხალი
მომიწვევითა
ვეწვევოდი
გარჩენილი!

განა მართლა
ვერიდები
სალათის და
შარვლის გასწვრას!
მაგრამ რა ვქნა,
ეს ოხერი,
რომ არ ვიცი
ხეზე გასვლა!

ეს ბიჭი კი
თითქოს ხეზე
გასვლისთვის გვევს
განჩინილი!
გუშინ ვაშლი
მომიწვევითა
ვეწვევოდი
გარჩენილი!
კარგად თუ არ
დააკვირდი,
ვეკონება
შორით კვირტი!



მხატვარი **ბასო ხილაშვილი**



მისკეპობი

ლალო ასლაზაიშვილი

ქვევით, სოფლის ბოლოს ვენახები რომ მთავრდება, ძლივსღა მონანს თოვლიანი მინდორი. საცაა ალაზნის ჭკლიდან წამოსული ჯანდი მინდორს გამოივლის და მთლად გააუჩინარებს.

წინადღეს მინდორი მწვანეღვ ღვინებდა. ახლადამოწვერილ ჯეჯილის ველის ნიაგწანწალა დასთამაშებდა, წალმა-უკულმა აბიბინებდა. დღეს ჯეჯილს თოვლის საბურველი საბანივით წაუფარებია და თეთრად ქათქათებს.

ჯანდი კი, ცივი, გამთოშავი ჯანდი ზონ-ზონით მოდის, ცასა და დედამიწას უზარმაზარი გემის იალქანივით გამოჰკვრებია, არემარეს ავნებს და ღობე-ყორეს ედებია.

— არ შესცივა? — ეკითხება შვილიშვილი ლექსო პაპას. ორივენი აივნებიდან ალაზნის ჭკლისაკენ იყურებიან.

— ვისა შვილო, ვის არ შესცივა?!

— ჯეჯილს!
— ჯეჯილს? რა შეაციებს, ბიჭო? გორც შენი ბებია და დედა თბილად გაცემენ, არ გაგვიციდვლესო, ისე შეფუთნა ზამთარმა ჯეჯილი თოვლის საბნით. რო იყინებოდეს, განა გლუხკაცი ხორბალს შემოდგომაზე დათესავდა?! ჯეჯილმა ზამთარი უნდა გაილიაროს, ნიადგში ბორჯი გაიდგას, იბღარტოს, ერთი ათად იქცეს და გაზაფხულზე ზღვასავით დაიძრას მიწიდან, მტკაველ-მტკაველა თავთავი გაიკეთოს, დაპურდეს და ყანად იქცეს.

იზარდ, მწვანე ჯეჯილი, დაბურდი, გახდი ყანაო, იხაროს იმის მარჯვენამ, ვინც გთესა, მოგიყვანაო.

— თქვა ბიჭმა და პაპას ღიმილით შეანათა თვალები.

— გიშველა ღმერთმა, ვინც გთესა, მოგიყვანაო, არა? უნდა გენახა, რა სიხარული და სამზადისი იყო სოფელში, როცა ყანის მკის დრო დადგებოდა. ვეველა, დიდი და პატარა ნამგალს ლესავდა, მინდვრიდან ძნის მოსატანად ურმის შეკეთებას იწყებდა, ბეღელსა და კალს აწესრიგებდა. ვინ იცის, რამდენი კატითაური გამოკეთებია, რომ ვინმეს ყანაში მესვეური ვყოფილიყავი.

— კატითაური? — კითხულობს სმენადქვეული ბიჭო.

— რაო? არ გაგიგონია? მოიცა, ჯერ მესვეურს გეტყვი, რას ნიშნავს. მესვეური, ჩემო კარგო ბიჭო, ყანის მკის დროს მუშაობის წინამძღოლს ერქვა. ის ნამგლით ხელში თავის სვეს თავში ედგა, მიდიოდა, მკიდა ყანას და გაჰქონდა სვე. იმას დანარჩენი მომკვლეები მისდევდნენ და ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ, ყოჩაღად ემუშავათ.

მკაში წინამძღოლი რომ ყოფილიყავი, არც არავინ გთხოვდა, არც ვინმე დაგავალდებულებდა. ბიჭობა ის იყო, თვითონ გამოგვინა თავი და ვისაც მოისურვებდი, მკაში იმას მიხმარებოდი. ხოდა, ის, ვისაც მესვეურობა სწავდა, დილაადრიანად გაიპარებოდა ყანაში, ნამგლით ცოტაოდნენ ყანას ამოსჭრიდა, გააკეთებდა დიდ ხელეურს — კატითაურს და ყანის თავში ხეზე დაჰკიდებდა, რაც ნიშნავდა: მის პატრონს მესვეურობა ჰქონდა გადაწყვეტილი და სხვა ვერ შეეცო-

ლებოდა.

ჩემს ჯველობაში მეზობლად ვფრილ-
შვილი ვლუხი, ჩოფურაანთ პეტა ცხოვრობ-
და. იმ ღვთისაგან დალოცვილს ერთმანეთზე
მიყვლებული თერთმეტი შვილი ჰყავდა გა-
საზრდელი. სულ წერილფეხობა... ყველაზე
უფროსი ცამეტ-თოთხმეტი წლისა იქნებო-
და. გავიფე, პეტა ყანის მკას აპირებდა და და-
სახმარებლად მომიკვლებს ეძებდა. ხან ვის ეღ-
როჯებოდა, ხვალ ყანის მკაში მომეხმარეო,
ხან — ვის. მერე შვილო, იმისთანა დროა,
ყველას თავისი გასჭირვებაა, მოსავლის აღე-
ბას ეშურებთან, მუშახელი თქრთდ ფასობს.

გავიფე ეს ამბავი და მერე დღეს, ცაზე
რიქრაივი ხეირიანად არ იყო ჩაფარდნილი,
აგიფე ნამგელი და ჩოფურაანთ პეტას ყანისა-
კენ გაფუტიფე. გაფაკეთე კატითაური, ყანის
ბოლოში ბუბერი მუხის ტოტზე დაკვიდე. წა-
მოვწყეი მხართეძოზე და სოფლისაკენ ვიყუ-
რები, როდის გამოჩნდებთან მომიკვლები.

ვუყურებ და ვხედავ, ვიღაც ჩემსავით
ჯველი ბიჭი ყანისკენ მობრბის და ნამგალს
მააელვარებს. შევარდა მგელივით პეტას ყა-
ნაში, შეკრა ხელური და მუხისაკენ გამოს-
წია. მოვიდა და ვითომ ჩემი კატითაური ვერ
შენიშნა, თავისი დაჰკიდა.

— ბიჭო, ვერ ხედავ, რომ მესვეურობა და-
გასწარი? სადღა ჰკიდებ მაგ კატითაურს?
— ვეკითხები ბაიფუშურად.

მან წარბიც არ შეიხარა: ვითომ მე რითა
ვარ შენზე ნაკლებით? ჩხუბს ხომ არ გაემარ-
თავდით, დაკადაკას? სოფელი არ მოგვიწო-
ნებდა, არადა, მინდოდა იმ ბიჭისათვის მეს-
ვეურობაზე უარი მეთქმევინებინა.

— კარგი, მოდი, ვიჭიდაოთ, ვინც წაიქ-
ცეს, სახლში პირუნუმრად გაიპაროს-მეთქი.

— კეთილი და პატიოსანით, — სიხარუ-
ლით დამყაბულდა. ნამგლები გვერდით მივა-
ყარეთ და ერთმანეთს ვეძგერეთ. გბრუნავთ
ტარაბუბივით, გადავდივართ ყირაყირას,
ხან ის არის ბალახებში წამოწოქილი, ხან
მე, ჩოხები ღამის ნაფლეთეობად გვექცა,
გააქვს ფხრაწა-ფხრუწი.

ამ ძიძგილაობასა და ჭიდილში მომიკვლე-
ბი თავს წამოგვადგნენ. გაიგეს, რაც გვეწა-
და. ჩოფურაანთ პეტა სიხარულით ცას ეწია
და გვიხარა: ბიჭებო, რაკი ესეთი ყოჩაღები
ხართ, ვითომ რა იქნება, დღეს ყანის მკაში

ერი მესვეური მყავდეს? აღეთ ნამგლები ტა-
ვინც ბევრ სვეს გაიტანს, პირველი მესვეურიც
ის იქნებაო.

პეტას რჩევა ჭკუაში დაგვიფდა და ნამგ-
გლებს ხელი წამოვაფლეთ. დავექეთ ყანის
თავში და გაეუსვით. ისე ვმკიდით, ჩვენი ხე-
ლურივების აკრეფას და მნის შეკვრას მეძნეუ-
რი ძლივს ასწრებდა, წყლის მზიდავი ხომ
დავდამლეთ წყაროს ცივ-ცივი წყლის ზიდ-
ვით.

... აღაწნის ველიდან წამოსულმა ჯან-
ღმა სოფელში ამოაღწია. სახლის ავიანზე
ცივმა, სუსხიანმა ნიავწანწალამ დაუბერა
და თოვლის ფიფქი წამოაყარა. თუთის ხეზე
წამოსკუპული ბელურივები აიშალნენ და
სადღაც მიიშალნენ.

— ეხლა კი ჩიტი თავის ბუდეში! — თქვა
ღექსო პაპამ და ოთახისაკენ მიტრიალდა.

ბუხარში მოგონივრე ცეცხლი თავისკენ
ეპატიებოდა პაპა-შვილიშვილს.



მზატვარი თამაზ ხუციშვილი

პატარა ბიჭი

ნაზი კილასონია

შატარა ბიჭო, ვისი ხარ
ასეთი კარგი, ლამაზი, —
ღუდასი თუ მამასი?
ბუბოსი თუ შაშასი?
— ვწუვარ თქროს შერანგში,
ეველასი ვარ,
ეველასი!



ქრონიკული
ბიზლირთქა

ნანა

ცირა ჰიტიაშვილი

დიღას მამამ რვა მარტი
მიულოცა ნანას,
ფურადსურთიანი
წიგნი მოუტანა.
გაუღიმა გოგომ და
ღუდას დაეშკვანა.
გაისრდება უთუოდ
ქალი იმისთანა —
ხალხის გამხარებელი
კარგი მასწავლებელი.

მხატვარი ზაპრ ლინსაძე

რას დანატავს ლურჯად

თამუნა ბაჟაძე

— რას დანატავს ლურჯად ფუნჯი?
— ზღვას!

— რას დანატავს? ლურჯად ფუნჯი?
— ცას!

— უცებ ცახე რომ ვამონდეს მზე,
თუ დანატავს ლურჯად მზიან დღეს?
— მაშინ ლურჯში აირევა ფერი
ვარდისფერი,
თეთრი,
ოქროსფერი!

— თუ დანატავს ლურჯად ფუნჯი ხეს?
თუ დანატავს ლურჯად ფუნჯი ტყეს?
— მთების მიღმა როცა ჩავა მზე,
მაშინ არის ლურჯი ტყე და ხე.



მხატვარი გიორგი როინიშვილი

ბავშვების სყმაწვილო წაღწევი

ადრე ადგარსა ყმარვილსა ღრუბელიც
— • — ადარ აწვიმსა.

შვილი სახლს რომ გაეცევა, ზოძიც მაშინ
წაეცევა. — • —

ՀՄԿՄՊ ԳՅՆԵՄ

Ձեռագրերի և
նյութերի մասին

Վերին - Յոս Բաշաբեկի
ՅՅՄԿՄ ԳՅՆԵՄ IV-ին †
(1027 - 1072 Շ.)

Հոնաներին ողջությամբ
ոգնակալտեղի յոսեմաներով
յաջողությամբ ղարկաբանի ողջ
նախնիներուն հոնալազեմ
1028 Շ. և մե Բոբայր Լաթա-
րի ՅաթոՅոնանց մեղհաներ-
ՅՅԿԻ Կանաթ IV-ն ղարկաթ-
հոնալազեմ Լոհիմալազ ղար-
կաթնուղջեմ Կալեկ Բաթա-
նան մեղին ղարկաթնուղջեմ



Կ ղարկաթնուղջեմ

ղարկաթնուղջեմ-Կանաթ մեղնուղջեմ
և ղարկաթնուղջեմ Կանաթն Կանաթն
մեղնուղջեմ ղարկաթն և Կանաթն
նախնիներուն և ղարկաթնուղջեմ-
Բաթան



Հոնաներնուղջեմ Կանաթն-Կանաթն
նախնիներուն, ղարկաթնուղջեմ
Կանաթն, ղարկաթնուղջեմ Կանաթն,
Բոնաներն Կանաթն ղարկաթնուղջեմ
Կանաթնուղջեմ



ղարկաթնուղջեմ Կանաթն, Կանաթն,
Կանաթն, Կանաթն, Կանաթն,
Կանաթն, Կանաթն, Կանաթն,
Կանաթն և Կանաթնուղջեմ
Կանաթնուղջեմ



ղարկաթնուղջեմ Կանաթն Կանաթն
Կանաթն ողջությամբ - Կանաթն Կանաթն
Կանաթն, Կանաթնուղջեմ Կանաթն
Կանաթն, Կանաթնուղջեմ Կանաթն,
Կանաթնուղջեմ Կանաթն Կանաթն



Վրջնահոտ յիտտանս - լողահոտն, եւ չախտըս
 յիտտանս - ոճանս տոբողտուս յառիւ չաջնիո
 զճճնչիոնո!



ՅԵՐԵՎԱՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ
 ԵՎ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿՈՄԻՏԵ

Վարձը, լողահոտն
 նադիս, շառնաճըս կոնսն -
 - Երիտզոնն բանքնախոնսն

Յարուս ճայտարճը Վրջնահոտ յիտ
 տնցո, զճճնսնսն նի ճճնչիսն.



Գնիսն լճան ճողնահոտն
 ճճնսն Բոսոն ճանքոնի...

Յողււււնը ճննելոն
 զճճնտան զճոբոնիսն.

Յանիւննսն Լանսնի Լննա յիտղոնոն
 ճաթոնսն, ճանիսն լճոբոնալտոն Կոնս-
 Լոբոնսն եւ Լուսնոն ճանքո յնի ճոն-
 նիսն.



Ձճնսն եւ Լողահոտն զճոնն Են ճանիււրոն
 Լանսնոն ճոբոնալտոն նսնչն. Լանոբոբոն
 ճննննսն ճննչն ճննչն 1058

Ենն ճոնոնսնսն ճոնն յիտ-
 տնցոն եւ ճանիւնսն ճոն-
 ճանսն. Լողահոտն ոճո-
 Լոնոն ճոնչնսնսն
 ճանն.

Յանիւնն իՎ ճճնոնսն Բոնոնսն Լննսն
 տնքն ճանիւնսն Ենն ճանիւնսնսն. ոնն
 ճոնսնսնսնսնսն Բոնոնսն Լանսնոն
 ճոնոնիտնալտն, ճանիսն նի Լանսնալտն,
 ճոնոնսնսնսն Լանսնոնսն
 ննալտն ճոնոնսն
 ճանոնսնսն.



ბივი ვაჟაჟიორი

„ბაში-ანუკი“

1895 წელს აკაკი თბილისშია, სასტუმროში ცხოვრობს.

ზაფხულია. აკაკი საწოლზეა წამოძვდარი და ახლადდაწერილ მოთხრობას „ბაში-ანუკს“ უკითხავს ნაცნობ მეგობრებს. კითხულობს ნელა, თითქოს ღოცვას ამბობდეს და ისე ლამაზია, ქნადაკებას ჰგავს.

აი, ზნაღ არავისი ერისთავს კირილე მღვდელის წუხანდელ სიზმარს უყვება:

... აღავერდის მონასტერს გველეშაბი შემოხვევია. მისი შიშით საყდარში ვერაფერს შედის, აღარც წირვია და აღარც ლოცვა. ხალხი ზარდაცემულია. გველეშაბი ხანდახან ხალხისაკენ გამოიშლება, უძრავად გაშეშებულ ადამიანებს პირში ჩაიხვევს, გაძლება, გასისინდება, მერე ტამარს ისევ გარს შემოხვევია და დაიძინებს.

უცერად ერთიმეორეზე უკეთესი სამი მეომარი გამოჩნდება. ერთი ხალხს მიუბრუნდება და შეპყვრიებს: ვინ ქართველი და ვინ გულგატეხილობაო. არ გოჯობთ, უწმინდურს შეებრძოლოთ და სული ბრძოლაში დალიოთო?... ეს შეშაბილი ხალხს გამოაფხიზლებს, აჩოჩოლდებიან, დიდი და პატარა იგრიალებს: ზოგი ფარ-ხმალს მოაქვებს ხელს, ზოგიც — ცულს, წაღღს, ნამგალს, ხელკეტს... მეომ-

რები წინ წაუძვებოიან, მიძინარ გველეშაბს მიუახლოვდებიან, სამივენი ისარს ერთად გასტყორცნიან, მაგრამ გველეშაბის ქერტილი სამივე ისარს აირეკლავს. გველეშაბი გამოიღვიძებს, აიჭირება, ყოველ ახალ ჭრილობაზე ძალა ემატება. ვმირებს ფარ-ხმალს დაეუწებათ, და ამ დროს მთიდან მომავალი შუბიანი მხედარი გამოჩნდება. თეთრ ცხენს მოაგველეშაბს, გველეშაბს მიეჭრება, ლახვარს უგმირებს. უწმინდური იწვილებს, დაიკლავება, პირს დაადებს, შავ ოხშივარს ამოუშვებს და თან ისეთ სიმყრალის სუნს ამოატანს, რომ ყველას გული შეუწუხდება. კარგა ხნის შემდეგ, ხალხი რომ მოსულიერდება და თვალს გაახელს, აღარც გველეშაბია იქ, აღარც მეომრები... არც თეთრცხენიანი მხედარი... მხოლოდ სინემეა და საღიტანიო ზარე-

ბის რეკვა ისმის. ხალხი ქუდს მოიხდის და პირჯვრისწერით საყდარში შვეა. აღსავლის კართან ის სამი მეომარი ასვენია. თავზე ნათლის სვეტი ადგათ, მადლიდან კი გუნდის ვალობა ისმის...

კირილეს სიზმარს „ბაში-ანუკში“ ასეთი ახსნა აქვს:

აღავერდის ტამარს რომ გველეშაბი შემოხვევია გარს, ის სპარსეთია, რომელსაც ქართლ-კახეთი დაუპყრია. ის სამი მეომარი კახეთის 1659 წლის აჯანყების მოთავეები — ახმეტის ბატონი ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელისბარ ქსნის ერისთავები არიან. ხოლო ცხენზე ამხედრებული ვაჟაკი წმინდა გიორგია.

...აი, ცბიერი შაჰ-აბაზი აჯანყების მოთავეებს იბარებს. ყველამ იცის, რომ ისინი ცოცხლები ვეღარ



დაბრუნდებიან, და მეფეს არ უნდა მათი სპარსეთის გაშვება. მაგრამ გმირები ეტყვიან, თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვედრებია სამსხვერპლო ზვიარაკობა, მორჩილებით თავს დაედებთ!.. საქართველოს ჭირიც წავვიდიოთ, და სამიჯენი სპარსეთში გაემგზავრებიან, სადაც მათ წამებით დახოცავენ...

... კახეთის 1659 წლის აჯანყების გმირები ცხინვალის ახლოს, იკორთის ტაძარში არიან დაკრძალულნი.

ბაბი და
ივანე მანაბელი.

1898 წლის 26 ივნისს უზოუკვლოდ დაიკარგება დიდებული ქართველი მამულიშვილი, დიდი ინგლისელი დრამატურგის, შექსპირის ტრაგედიების ბრწყინვალე მთარგმნელი ივანე მანაბელი. აკაკი და ივანე მანაბელი თითქმის ათი წელი მეგობრობდნენ, და აკაკი ასე ახასიათებს მას: საუცხოოდ იყო გაზრდილი, თავმდაბალი, ამხანაგისათვის თვალადებული, გაჭირებაში მტერსაც კი ხელს გაუწვდიდა უსაქმოდ ვერ დიდებოდა და რა საქმესაც ხელს მოჰკიდებდა სულითა და გულით ეძლეოდა, კარგზე კარგს ამბობდა, ავზე ავს...

აკაკი სიკვდილამდე ივანე მანაბლის ოჯახის უახლოესი მეგობარი იქნება, ხშირად ნახულობს მის შვილებს, დაინტერესებულია მათი აღზრდით, უგზავნის წიგნებს, წერს მათთვის



ლექსებს და გამოცანებს; ივანეს შვილს — ნიკოს აკაკი უსახსოვრებს თავის მიერ გადმოქართულებულ იგავარაკებს კრილოვისა. ამ წიგნს ასეთი წარწერა აქვს:

**ნიკო ამ იგავ-არაკებს
გაიზუპირებს ყველასა
და მეზე ზღაპრად
გადასცემს
მის დას... პატარა ელასა.**

ბაბი და ახალბაზრლობა.
აწარმეწმობა. საზღვარ-
გარეთი ბაზრავარობა. ში-
ლიონის ციხე-აზრავარი.
„ლიღება მაღალია შინა“.

1900 წლიდან 1905 წლამდე აკაკი უფრო ხშირად თბილისშია.

დილით გვიან იღვიძებს და მაშინვე წერას იწყებს, საღამოობით თეატრში ან საღამე ოჯახშია სტუმრად. მისი ტანსაცმელი პიჯაკია, საჯანგებო შემთხვევაში — შავი სურთუჯი, გახამებული პურანგი და დაკეცილი საყელი; თავზე კრავების ქული ახურავს, ხოლო საფეხულოებით — შლაპა. აქ ჩამოთვლილი სამოსიდან ბევრი სხვიტორის მუხეუშში ინახება.

აკაკი თამბაქოს არ ეწევა, ღვინოს არ იკარებს, როცა სტუმრად არის, წყლით სავსე ჩაის ჭიქაში წითელ ღვინოს იწვეთებს და საღვდგომელს ასე სვამს. ჩაი ბაცი უყვარს, რძიანი, და შაქრული. საჭმელს არ არჩევს და არ იწუნებს. ხავერდოვანი და საამური ხმა აქვს, მისი თხრობა და ხმა მსმენელს აჯადოებს. კაცი როცა ესაღმება, თავს ხრის და უთუოდ შუქიანი დიმილით უღიმის. არ უყვარს, ყვავილს რომ წვეტენ, ამბობს: ყვავილი მაშინ არის კარგი, როცა თავის ძირზე ყვავისო.

რას წერს და რით ცხოვრობს ამ დროს აკაკი?

აკაკის მომავლის იმედი ასულდგმულაა. ერთ ლექსში ამბობს: ჩვენ რომ გვინდა, ისეთი თაობა მოიღეს; ის არც ბატონობას და არც ვინმეს მონებას არ ისურვებს, მშობას, თანასწორობას. სიყვარულს აღიარებს და მის უმანკო სიხარულს საზღვარი არ ექნება! რა ვუყოთ, რომ იმ ნეტარ დროს ვერ მოვესწრები, სიკვდილის წინ ხომ ვგრძნობ, რომ საქართველო არ მომკვდარა,

ერთხელ კიდევ აყვავდება და მისი ხმა ძველებურად კიდით-კიდევ მოეფინებაო!..

ამავე დროს, აკაკი ახალ თაობას აფრთხილებს, ბებრებსაც კური დავვიგდეთო. ერთ წერილში ასეთი მაგალითი მოჰყავს: „არც ერთი გლეხი ორ მოსვერს ან ორ ბებურ ხარს ერთ უღელში არ შეაბამს. გასახედნს უთუოდ გახედნილს ამოუყენებს გვერდში. მოსვერი ჯან-ღონით სავსეა, გულს ერჩის, მაგრამ გამოუცდელია და არ შეიძლება თავში არ გაიწიოსო, და იმასთან ერთად, უღლის ცალად რომ მეორე მოსვერი გამოუბა, ურემსაც დაამტკვრევენ და თვითონაც სადმე გადაიჩეხებიანო. ბებური ხარი კი გახედნილია და ამიტომაც არის მასზე ნათქვამი: „ბებური ხარის რქაც კი ხნავსო“.

1904 წლის ოქტომბერში აკაკის დამბლა დაეცემა, სამი თვე იავადმყოფებს, მერე კი, როცა გამოშვობინდება და ფეხზე დადგება, ცალი თვალის ქუთუთოს მოძრაობა დაუმძიმდება, ცალ ფეხსაც ოდნავ უქლასუნებს და ისე ადგამს. მისი მუცლისმეტად ღამაზი სახე თითქოს ახალ გამოშეტყველებას შეიძენს. ცალი წარბი ოდნავ აეწვევა, თავიც მალდა უკავია, განსაკუთრებით, როცა ქუჩაში მიდის. მნახველს ეჩვენება, სადღაც შორს იმზირება, თითქოს სხვა, დღემდე უხილავი ქვეყანა უნდა დაინახოსო, აი, სწორედ ეს მხე-

რა აქვს გადმოცემული მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს აკაკის ბიუსტში, რომელიც ოპერის თეატრის ბაღში დგას.

ნაავადმყოფარი აკაკი სამეკურნალოდ უცხოეთში გაემგზავრება — შვეიცარია-სა და საფრანგეთში. ჟენევის ტბის პირას, პატარა ქალაქ კვიენ-ლე-ბენდში ცხოვრობს. ინახულებს შილიონის ციხე-დარბაზს, რომლის დათვლიერების შემდეგ ასეთი შეძახილი აღმოხდება: „აფსუს, ჩვენი ქვეყნის ციხე-დარბაზების ძველი ნაშთებო! ვინ იცის, რამდენი ხნისაგ, რომ ნადირის ბუნაგად გახდარხარ!“.. უპატრონოდ ხარ, არავინ გივლის, არავინ გაპატრონობსო!..

შილიონის ციხე-დარბაზში აკაკი ნახავს იმ ოთახს,

სადაც როდისღაც ^{ნიკოლაძის} ყოფილა, იმ ოთახს ^{ნიკოლაძის} დაც ბაირონის ^{ნიკოლაძის} დამე; ნახავს ციხედარბაზის ჯურღმულებს და ოთახს, სადაც მიჯაჭვული ყოფილა ბაირონის პოემის გმირი — შილიონის ტყვე. მაგრამ ყველაზე მეტად მას შფოთვის ოთახი თუ საკანი დააფიქრებს. ამ საკანში ოთხი ძმა ყოფილა დამწყვედული. მათს სამეკიდროს მტერი დაპატრონებია და ძმები იმდენ ხანს ყოფილან დამწყვედულნი ამ ოთახში, რომ თითოს თვეში თითო ქვა რომ გამოეღო კედლიდან, ციხიდან გამოედოდნენ, მაგრამ თურმე ერთმანეთში ჩხუბს უნდებოდნენ, ისე ჩაბერდნენ, ისე ჩაკვდნენ, რომ თავისუფლება არ ეღირსათ. უფროსი ამბობდა: ჯერ თავი გავინთავისუფლოთ და მამულზე მერე ვიფიქროთო. უმცროსები არ უჯერებდნენ: ჯერ ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, ჩვენს მამულში როგორი წესრიგი შემოვიდეთო. ამ კამათში და შფოთში ამოსვლიათ სული.

— ამ ამბავმა ჩემი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა გამახსენაო, — ამბობდა თურმე აკაკი.

უცხოეთში ყოფნისას აკაკის უფრო გაუმძაფრდა საშობლოს სიყვარული და მონატრება. ეს ვრძნობა მას აღმოსკდა ლექსად: „დიდება მაღალთა შინა“.

არც მყვარებია, არც მიყვარს, არც მდომებია, არც მინდა, არც მნამებია, არცა მნამს შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა!



მხატვარი ელზარდ აპოკაპი

პპ. გამომხანნი! ქეთილი

ნოდარ ღუმბაძე

გამომხანნი:
მტერია სიბნელის,
მტერია წუვედიანის,
ეველზე ღამისი,
ეველზე თბილი,
დადი,
სვიადი,
ნახი და კეთილი,
ეოველამ ჩადის და
ამოდის დილით.



პასუხი:

ეველზე ღამისი,
ეველზე კეთილი,
სვიადი,
რა არის ნეტავ?
შენ თუ მზე გკობია,
არა ხარ მართალი,
ეს ვახლავს ჩემი და მანანს ღუდა.

გამომხანნი:

ეველზე ძლიერი,
ეველზე მამაცი,
ღამისი ფაფარით,
ძლიერი ტორით,



გრუსუნა,
ბრუსუნა,
სამართლის გამხენი,
ქვეყნად რომ არა ჰქავს
ტოლი და სწორი.

პასუხი:

გრუსუნა?
ბრუსუნა?
ძლიერი? მამაცი?
ნეტავი რად უნდა
მისვედრა ამახ?
შენ ღომა გკობია?
არა ხარ მართალი,
ეს ვახლავთ ჩემი და
მანანს მამა.



მხატვარი მანანა მორჩილაძე



ერთი გულა ოქრო

ავთანელი ნავალაძე

(წიგანარი)

იყო ერთი გუთნისდედა, დღე და ღამ ხნავდა, თესავდა, მკიდა და ოჯახს საკუთარი მარჯვენით არჩენდა. ერთხელ ძილში ხმა ჩაესმა — დღეის შემდეგ გუთანს აღარ გაეკარო, მინდორში წადი, ერთ გულა ოქროს იპოვი და მერე სიკვდილამდე უღარდეღაად და უშრომლად იცხოვრებო.

სიზმარი ცოლს უამბო. ქალი სიხარულით ცას ეწია, უთხრა, მიწასთან ჭიდილმა უღროოდ დაგაბერა, წადი, ოქრო ეძებე, გავმდიდრდებით და ბედნიერად ვიცხოვრებთო.

კაცი უარზე იდგა, უსაქმოდ რა გამაჩერებსო, მაგრამ ცოლმა იმდენი უჩიჩინა, რომ დაიყოლია, გულაში შოთები ჩაუწყუო, ხელში კომბალი მისცა და გზას გაუყენა.

კაცმა იარა, იარა და ერთ ბეჭობს მიაღვა. ბეჭობთან ბელტზე უცნობი იჭდა და ჩხირით მიწას ჩიჩქნიდა.

— რას აკეთებო? — ჰკითხა გუთნის-

დედამ.

კაცმა ახედა და უპასუხა, — მიწას ვჩიჩქნიო.

— რატომ? — ისევ შეეკითხა გუთნისდედა.

— ერთი წლის წინ ძილში ჩამძახეს, ბარსა და თოხს აღარ გაეკარო, ბეჭობზე ჩხირით მიწა ამოჩიჩქნე, ერთ გულა ოქროს მიაღგები და სიკვდილამდე ბედნიერად იცხოვრებო, მას შემდეგ აქა ვარ და ოქროს ვეძებო.

— მერე აქამდე ვერ იპოვეო?

— ჭერ ვერაო.

— ბარი და თოხი მართლა მიატოვე?

— ჰკითხა.

— მივატოვეო.

— ბოსტანს ვინდა ამუშავებსო?

— არავინ.

— მაშ პური ვინ გაქმევს?

— გამვეღელ-გამომველიო.

გუთნისდედამ გულიდან პური ამოიღო, მოზრდილი ნაჭერი გაუწოდა, ღმერთ-

შკითხა
 ვარკეთილში
 გენერალთა

მა შეგარგოსო, უთხრა, და გზას გაუდგა. იარა, იარა და ერთ დიდ მუხხას მიადგა. მუხხასთან კაცი იდგა და კეტს ურტყამდა. — რას შერები, კაცო, ხემ რა დაგიშავაო, — ჰკითხა გუთნისდელამ. კაცმა მოიხედა და უპასუხა: — ორი წლის წინ ძილში ჩამძახეს, ვაჟს აღარ გაეკარო, მუხხას კეტი ურტყი, რკოს მაგივრად ოქროს გამოიხსამს და სიკვდილამდე ბედნიერად იცხოვრებო. მას შემდეგ აქა ვარ, მუხხას ვურტყამ და ვურტყამო.

— მერე აქამდე ოქრო არ გამოიხსაო?
 — ჭერ არაო.
 — ვაზი მართლა მიატოვე?!
 — მივატოვეო.
 — მაშ, პურს ვინ გაქმევს?
 — გამვლელ-გამომვლელიო.
 გუთნისდელამ შოთი პური მიაწოდა, ღმერთმა შეგარგოსო, უთხრა და გზას გაუდგა.

მწყემსი კაცი ნაკადულთან დამდგარიყო და წყალში კენჭებს ურიდა.

— წყალს რატომ ამღვრევო? — ჰკითხა გუთნისდელამ.

— სამი წლის წინ ძილში ჩამძახეს, საქონელს აღარ გაეკარო, წყალში კენჭები ჩაყარე, ნაკადული იმ კენჭებს ოქროდ გადააქცევს და სიკვდილამდე უღარდელად იცხოვრებო. მას შემდეგ აქა ვარ და წყალში კენჭებს ვისვრიო.

— მერედა აქამდე კენჭები ოქროდ არ იქცნენო?

— ჭერ არაო.
 — ცხვარ-ძროხა მართლა მიატოვე?
 — მივატოვეო.
 — მაშ პურს ვინ გაქმევს?
 — გამვლელ-გამომვლელიო.

გუთნისდელამ დარჩენილი პური ამოიღო გუდიდან, გაუწოდა, ღმერთმა შეგარგოსო, უთხრა და გზას გაუდგა. სოფელს საღამო ხანს მიაღწია. დაღლილ-დაქანცული შინ შევიდა და ტახტზე ჩა-

მოჭდა.
 — სად არის გუდა ოქრო? — ჰკითხა ცოლმა.
 — ოქრო კი არა, დედაკაცო, ლამის არის შიშვილისაგან სული ამომძვრეს, კერძი მაქამე, თორემ, რაც სიგრძე გაქვს, სიგანედ გიქცევო.
 — რამ გაგაბოროტაო, — ჰკითხა ქალმა.

— იმან, რომ გამაბრიყვე, ტყუილუბრალოდ ვიხეტიალედ და საქმესაც მოვცდი. სიმდიდრე და ბედნიერება შრომას მოაქვს. გაურჯელობას მათხვრობა მოსდევს. მე არ მინდა პური გამვლელ-გამომვლელმა მაქამოსო, — უთხრა გუთნისდელამ და ლობიოს შეჭამანდს გემრიელად შეექცა.

15321



მხატვარი ვაჟა ქურხული

ბაქ. სსრ კ. მარჭისი
 ს.ბ. ნ.ბ. ნ.ბ.



დიდი შოტლანდიელი პოეტი რობერტ ბერნსი სანაპიროზე სეირნობის დროს მოწმე გახდა ერთი სოფდაგრის გადარჩენისა, რომელიც მდინარეში ჩავარდნილიყო. ვიღაც ღარიბმა კაცმა საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო და განწირული სოფდაგარი ნაპირზე გამოიყვანა. მან კი ჯილდოდ მხოლოდ ერთი ვროში მისცა.

შემთხვევის ადგილას შეგროვილი ხალხი აღაშფოთა სოფდაგრის უმადურობამ და მონდომეს მისი უკანვე წყალში გადაგდება, მაგრამ საქმეში ბერნსი ჩაერია:

— გაუშვით, — თქვა მან, — თვითონ უკეთ იცის თავისი ფასი.

გალახის მკამელი

დიდი ფრანგი ბუნებისმეტყველის ჟორჟ კოუვიეს ერთმა სტუდენტმა თავისი პროფესორის შეშინება გადაწყვიტა. ისე გაეხვია ნადირის ტყავში, ისეთი რამეები მთიერგო, ძალიან მხელად რომ საშინელ მხეცად არ მოგწვენებოდათ. სტუდენტი ღამით შევიდა კოუვიეს კაბინეტში.


— კოუვიე! — დაიხავლა შემზარავი ხმით, — შენს შესაჭმელად ვარ მოსული!

ბუნებისმეტყველმა შეხედა და მასწინვე სიცილი აუტყდა:

— ჩლიქოსანი ხარ, რქები გაქვს, მასხა-დამე, ბალახისმჭამელი ხარ, შენ მე როგორ შემჭამო...


გაწბილებულმა სტუდენტმა ძლივს გამოათრია ფეხები გარეთ.





წაიხითხათ

ამ თავსატეხში ყოველ ციფრს რაღაც ასო შეესაბამება. თუ თანამიმდევრულად ამოიწერთ ამ ასოებს, წაიკითხავთ ცნობილი ქართული ხალხური ლექსის სტრიქონს, რომელიც სიყვარულითა და იმედით გაგითბობთ გულს.



სახუმარო გათვასწორებნი

აბა, თუ დაწერთ 100-ს ხუთი 1-იანით

პასუხები №2 „დილაში“ გამოქვეყნებულ სახალისო კითხვებზე:

1. წყლის სარკვეს.
2. ოცნების კოშკებს.
3. გძინავს?
4. გუშინწინ, გუშინ; დღეს, ხვალ, ზევ.
5. ინგლისურად.
6. არხად. (თიბაყუნ ბალახს).



საპარამკველოს ალკ კვ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის კომუნალური ორბანობის რესპუბლიკური საბჭოს შურნალი შემოსვლაგანგებობის.

გამოიღეს 1904 წლიდან. საქ. კვ-ის გამოცემული.

მთავარი რედაქტორი რევაზ ინანიანი

სარედაქციო კოლეგია: ელზარ ამო-პაძე, მანანა ანთაძე, ლამარა ბაბუა, სოსილო გომიგორიძე, მერა ლაბიძე-შვილი, სოლომონი დევიდოვიძე, ლეილა მრამი, გელა ლოსაბერიძე, მარკალია მრავლიშვილი, ჯურხა ნაღო-რაძე, იმნათხა ნაღოური (პ/შ. მდივანი), ბიბი ანთაძე, ბიბი ბაბუაძე.

სამხატვრო რედაქტორი ბიორბა რიბიშვილი

ტექნიკური რედაქტორი ზვიად წამბერიძე

მისამართი: რედაქციის, გამოცემულობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16; პ/შ. მდივანის 93-10-32, 93-98-18; სახმ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაცემა ასაწყოვად 29.12.90 წ., ხელმოწერილია დასაბუღლად 25.02.90 წ. ქალაქის ზომა 60x90/16, ფონ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 141.500, შეკვეთა № 2870


ვებზე ნახათ ბმეტი ხიდაგველისა

«Диლა» («Утро») — Ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке.


Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии. Главный редактор Реваз Инаниани (тел. 93-41-30). Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14. Объем 2,5 печатных листа, тираж 141.500. Заказ №2870



6 135/42



მზატვარი ნანა იოსელიანი



რა და რა ყვავილი უყიდეს გავყვებამ დღას?